

F 24  
1888

# თ მ ა ტ რ ი

საყოველ-ქირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელს

№ 23

მკათათვის 10.

გაზეთი ღიას: ერთიან წლ. 5 მ.,  
ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე № 15 კ.  
ხელის მოწერა მიღება:  
თბილისში, რედაქციის კანტორაში.  
ფოთში ბერძნობ კალანდამესთან.  
ადრესი გარეშე მცხოვრებთავის:  
Тифлисъ, въ редакцію газеты  
"TEATRЪ". გაზეთი ის ყიდვება:  
თბილისში, ჩარკვანის წიგნის მაღაზიაში; და პ. ნ. ჩადაგებულის — გოლოგნის პრისკეტჩე.

საგაზითოდ დანიშნული წერ-  
ლები (კორეცია-ნდენცია) გარკვე-  
ვით უნდა იყოს დაწერილი. თუ სა-  
ჭიროება მიითხოვს წერილებს რე-  
დაქცია შეაწირებს. რედაქცია არა  
კისრელობს წერილების უკან გირ-  
ზავნას და მათ შესახებ მიწერ-  
მაწერას.

ყველ წერილში უნდა იყოს  
მოხსენებელი: სახელი, გვარი და  
საცხოვრებელი ადგილი დამწერასა

26 ვისაც გაზ. „ოქატრი“ ნახევარ წლითა ჭიონდათ  
გაწერილი, იმათ ვადა შეუსრულდათ და გაზეთის  
გაგზავნა ოც-და-ხუთი ნომრიდამ მოესპონ-  
ბათ.

სტამბის გამოცვლის გამო № 23 თავის დროზე  
ვერ გამოვიდა.

თბილისი, 10 მკათათვე.

ხმა პროვინციაში.

თბილის 19-ს გორში გაიხსნა სამუდამო ქართული თეატ-  
რი და ორ ღამეს ზედიზედ მიჰკვა ქართული წარმოდგენები.  
ქალაქიდამ და სოფლებიდამ მოსულმა ქართველმა არტისტებმა  
პატივი სცენა ამ მაჩად სახსოვან დღესა და თავიანთ მონაწი-  
ლეობით დაამშენებს ახლად დაარსებული სცენა. მართალია,  
განცხადებაში მოხსენებულთ ზოგიერთ არტისტებმა ტყუილ-

սպհալուած ցալլուածնես և տայրանտուս մռածիսնեցիտ առ ցալլ-  
մահուածու ցալլուածնու մռածու սահուալուածն, մահ-  
համ բահմուածնեցիտ մանու սահուալուած հաօահնէս. ծ.ծ. կուրու պո-  
ղուանու և ցալլ ամանուս սահուածն ծիմունցալլ գրութեատ  
ալլեմահուածն հայնս սպիրտ և տայրանտ նովուրուածն մալլուած լաշ-  
տահն առ ցրու նայլուածն մռածնեցիտ բահմուածն սա, հռամլուածն մռածն ուղարկուածն ուղարկուածն տուրմուս մռածնի-  
ալլեթած հարցուածն հայլուածն մռածն մռածն կայսերականու. կայ-  
սրա սալամուս ուտամանու ՝ “ծակութիւն” և ՝ “չպահ ճակութիւն” մերու  
լայնութիւնուածն; մերու լուս—ծ. լազարուածն անալու կոմելու  
“սոմինուածն”. հազար პորուածն ուն նովուրուած առ ցրութեալ  
պատուած հայնս ցանցուածն լապահուած, ամուռու ամ ցամած մատութեալ  
նասու մերու սախմեթ մոցցահնու. հայնս ցալլուած ցելա հայլուածն մուրուած  
կուրուած ցալլուած . պոմինուածն և հայնս աչհու մուս նովուրու այրուածն. նոնահուսու  
նովուրուս հուսուած առ առու. ցրուու, քարուսանու մռածն ցախուո  
ոցիւածն պոմինուածն ուսինուածն, նորուարու կապու բայլուածու.  
սոյանսկուածն սեյ-գա-սեյ երուածն ուսայութեածն տուրմուս մռածու  
յունցիւ პորուածն սա. պոմինուածն ցացնացնուածն սապուածն սակու-  
ծա ցահուածն ցախուածն և սոլահուածն, մացրամ ամասու առ առ ա-  
չպահուածն մատու նորուարու մուրու. ման մռածերիս և մռածուա-  
սուու սամուածն, հռամլուածն ուսինուածն սրուած ձալլուած  
ուծլած լամինուած ոչչածս. մացրամ, ամ գրուս, պոմինուածն  
մռունցիւ ուսամահուածու լարանջուած ցախու, մուլուս նորուարու  
մուրուածն և ցրուուս տայրուսու ցամուհնուտ ամարլեցն, մուրուած այ-  
պայս մաս. ամնահուած, լուցա-աչհու նովուրուս մերու սասամուածն,  
մերու և սոյանսկուած համ առու. սոյուրու, քարուսենցիւ սելլույս նո-  
րուածն, ուսինուածուածն... և սելլույս մաշ 5, հուսուսու ամ  
սոյանսկուած ոյեկ-կյութ մուրու, կանոնուրու նուածաց մռապուածն,  
հռաջուսու ծցուրու տայրուսու սամացլուածն ցանցերուուլուածն և  
մաս մռապիթածն պայուածն ուսուածն ամամտայրուս տայրուսու ուսու-  
ածուածն, սահութածն մռապուածն սամինուրու ոչչածս նովուրուածն,  
սոյութ յաց, հռամլուսու պայուածն յ կանոնուրու մալա-սուլուածն  
գայահուածն այս և, մասամաս, նորուարուածն բուհալմութեալ սրու-

ლიად უგარალოთ გამოდის ბრძოლის ველზედ. . დასტურით ამ შინაარსს პიესის და გაოცებული ექითხებით თქენებს თავსა: რათ და რისთვის ამახინჯებს პატის აფორი აწინდელი ცხოვ-რების სინამდვილებს?! რათ უნდა, რომ ასეთის გულმადვინებათ აცისკროვნებს წარდიალით მოცულს თანამედროვე ცხოვრების უმთავრეს მიმდინარეობას?! აფორის ხელში ჩაუგდია მშენიერი ფაქტი ეხლანდელის უსამართლობასა და რატომ არ საჩემებ-ლობს მითი ისე, როგორც შევჩერის მის რიტა და კეშმარი-ტების მოთხოვნილებას? ნაცელად იმისა, რომ აეტორი ჩაჰყო-ლოდა ბოლომდის ამ მოვლენის საზიზღაუ შეჯევებს, იგი შეა-გზაზედ ჩერდება; ძლევა მ.ისილ პაროვებას თავის უსამარ-თლოებას ასწორებინებს, აკრძობინებს თეის საძაგლობას და საზოგადოების წინაშე ბოლიშს ახდევინებს... და ამნარად, ასუსტებს, თათქმის სრულიად აქრიბს იმ სამართლიან ზოზღა-და მძულფარებას, რომელიც უნდა საზოგადოებაში აღიძრას იმ ბოროტებისაუმი!..

რაյო პიესის შინაარსს ამ გეარი მამართულება მიეცა, ეს გარემოება, რაღა თქმა უნდა, სრულიად ფერს აცელევინებდა თვით დედა-აზრისაცა... აეტორის შეხედულობათ—ბოროტება აღრე თუ გვიან უსათუად ისჯება და სიკეთე ამ ქეყნადე ამარცებს საძაგლობას... თქენებს პირს შაქარი, ეს რომ ნაზ-დეილად ასე იყვეს!! მაშინ ხ.მ. თვით სამოთხე დამკიდრდე-ბოდა ჩენებს ცოდეილს დედამიწაზედ!! მაგრამ საუბედუროდ, ეს მხოლოდ ოცნება და სხვა არაუერი! უმეტეს ნაწილად ცხოვ-რება აღმიარისა ისეთნაირად აწერილ-დაწერილა, ისე დამახინ-ჯებულა, რომ უფრო ჯოჯოხეთურ უსამართლოებას, ტანჯვა-ვაებას და წვა-და-დაგვას გვაგონებს, ეიდრე სამოთხის ნეტარებას და განცხრომილებას!. ზოგირთა ფილოსოფისები გვარშეუნე-ბენ, რომ ბუნებაში არის იმისთანა რამ ძალა, რომელსაც ვე-რაენ ხედავს, მაგრამ მის სამართლიან მსჯავრს კი ვერც ერთი ღამიაშვე ვერ გაექცევა: აღრე თუ გვიან ამავე ჭეეწად მას მოეწერა რისხეა ამ ძალისაო! კითხულობ ამისთანა სიტყვებს და თ-თქო რაღაც ფრთხები გესმებათ, ძალა და ლ.ნე გემატებათ და მჩათა ხართ თამამად გაემკლავოთ ყოველს ბოროტებას და

უსამართლოებას იმ იმედით, რომ ის „უჩინარი ძალა“ შენი მომხრეა და დღეს თუ ხეალ თავის ძლევა-მოსილის მახვილით ჩამოერება უთანასწორო ბრძალაზი. მაგრამ გონიერი დიდხანს არა რჩება ამ გვარს აღტაცებულს მდგომარეობაში! მოუსვენრად იცქირება აქეთ-იქრ და თვალში ათასობით ეჩნირებიან იმისთანა ფაქტები, რომელიც პირ-და-პირ ეწინააღმდეგებიან მოხსენებულ ძალის არსებობას. აბა, დაკეირვებით მიაქციეთ, ჩემო ბატონო, თქვენი განათლებული ყურადღება მოელის კაცობრიობის და კერძოთ ჩენის ხალხის წარსულს და აწმყო ცხოვრებას და მაშინ, დარწმუნებული ვარ, ცხადათ დაინახავთ არა ერთს იმისთანა ანბებს, რომელიც ტყვიასავით მოხვდებიან თქვენს პატიოსანს გულსა! ვინ მოუთელის რაედენ ბოროტ სულს დაუსჯელად გაუტარებია მოელი თავისი საძაგელი სიცოცხლე და, ათასის უსამირთლოებით, ჯოჯოსეთურის მტარეალობით მოპოვებული მდგომარეობა, ქონება მშეიღათ გადაუცია თავისი ლირსეულ მემკვიდრეობათვის, რომელთაც აგრძელებულ უპარჩაშინიათ მათ და მათის წინაპართა ცოდვებით დამძიმებულ დედამიწის ზურგზედ. რაედენი ეეშაპი აზის დღესაც კაცობრიობას კისერზედ და აღუწერელის უსამართლოებით სთელავს ყოველს მის ლირსებას, მის მოთხოვნილებათ, მის ბეღნიერებას!!.. მართალია, ბექრს ამგვარ ეეშაპს ცხეირიდამ ძმარი წასდენია და სხვისთვის დამზადებულ ურმაში თვით გრიალით დაქანებულა თავდაყიჩა, მაგრამ იმისთანანიც ხომ ბექრნი არიან, რომელთაც მოსვენებით და განცხოვმით უცხოვნიათ, ღრმა მოხუცებულებაში გარდაცელილან და დიდის ანბით და ყოფით დასაფლავებულან?! ამასთანავე, ვინ არ იცის ათასობით და მილიონობით ისეთი ადამიანები, რომელთაც არაეითარი საჯუთარი ცოდეა არ მიუძღვით არც საზოგადოების და არც ბუნების ცხად და საიდუმლო კანონების წინაშე, მაგრამ საშინელი, ფიცხელი სასჯელი განუწყვეტლად ჰგევმავს მრთელს მათს საბრალო, საცდავ არსებობას! თუ კი არის საზმე, მაშ რალას ცუდის, სად არის ის დალოცვილი ძალა?! ნუთუ გმინვაკვნესა საცოდავის ადამიანისა არ ესმის მას? ნუთუ ვერ ამჩნევს იგი იმ უსამართლოებას, რომელიც უზარმაზარი ლოდივით თავს

დასწოლია დღეეანდელს მუშაქს და თავისი განუზომელის სიმ-  
 ძიმით მიწაზედ სკეჭყაეს განალეურებულს აღამიანობას! საუბე-  
 დუროთ, დღეს იგი არსად, არსად არა სჩანს, თუმცა კი მისი  
 ბრწყინვალე მომავალი სულით და გულისა მწამს! მწამს, რომ  
 იგი ახალ მესსიათ გამოუჩნდება ოდესმე კაცობრიობას და ძი-  
 რიან-ფეხსიანათ ამოგებრის მასში ყოველს ბოროტებას, უს-  
 წორ-მოსწორობას, უსამართლოებას და მათ ნაცელად მტკიცდ  
 დაამყარებს „ქვეყანასა ზედა მშვიდობას და კაცთა შორის სათ-  
 ნოებას“... მანამდისინ კი ქალაგება იმ გეარის აზრებისა, რო-  
 მელიც გამოხატულია „ციმბირელში“ იქნება მხილოდ კეგბა  
 ცარიელის სიტყვებითა, ბოროტებაზედ ვარდის წაფარება და  
 თვალების აბმა საზოგადოებისა.

პროფილუელი მათვალიერებელი.

## აზალი ამბები

წარსულს კეირას აქსთაფასთან გაქურდეს ფასტა და, რო-  
 გორც ამბობენ, ექვსას თუმნამდინ წაულიათ. ფასტა მიჰქო-  
 ნებიათ ბარების გაკონით, რომელსაც ძალლებას წასაყანი ადგი-  
 ლი ჰქონია. ქურდებს ამ ადგილიდამ თხელი ფიტრები გამოუმტკიც-  
 ებიათ, შესულან ევროპში, დაუჭირიათ ტყავის ხურჯინები და ამოუ-  
 ღიათ ფული. ქურდები ჯერაც ერ დაუჭირიათ.

— წარსულს საშუალოს ორი ქალი მიღიოდა ბოტანიკურ  
 ბაღში გასასეირნებლად. სამი კინტო წამოეწია დ ძალ-დატა-  
 ნება უნდოდათ მოეგმარათ. ქალებმა ყეირილი მორთეს. ერთ  
 კინტოს რაღაც ძეველევერის ლულა სდებოდა ჯიბეში,  
 ამილოდ და დაუმიზნა ერთ ქალს: ან დაგვნებდით, ან ეხლავ  
 ორივეს დაგხოულეთო. ამ დროს წამიესწრო ვიღაც ყმაშვილი  
 კაცი—ტოპოგრაფი და დაისხნა ქალები შეურაცხყოფისაგან.

ბოტანიკური ბაღი თავისი ძეველი გალავნით და ნანგრევ-  
 ბით ბუდეა ქურდებისა და რაღაც საეჭვო პირებისა. კარგი იქ-  
 ნებოდა, თუ ზამთარში არა, ზაფხულობით მაინც დაეყენებინათ

რამდენიმე პოლიციელი და ამით საშუალება მიეცათ ხალხისა-  
თვის თავისუფალი სეირნობისა.

— რამწამ შებინდდება, გოლოვეინის პროცესექტზე, ეიღაც  
თავ-გასული „ვაჟები“ ვარჯიშობენ თოფ-იარაღის ხმარებაში.  
ორშაბათ სალამოს რამდენჯერმე გამოისროლეს „მონტე-კრის-  
ტო“ და მაღაზიების შუშები დამტკიციეს. ერთი მოარტყეს მე-  
ბულების მაღაზიის „საქსონია“-ს შუშას, შუშა გატყდა და ნამტკირე-  
ვები პატრონს მოხედა პირისახეში; მეორე მოარტყეს საკანცე-  
ლიარო ნიკეთეულობის მაღაზიის შუშას და ისიც გატკეცეს. პო-  
ლიციელი შეიკრიბნენ, მიიჩედ-მოიხედეს და იმით გაათავეს საქმე,  
რომ... ისევ თავ-თავის ალაგას წაეიღნენ. კარგი იქნებოდა ეს ამ-  
ბავი უკურადლებოდ არ დასტოურნ, თორემ შეიძლება ამ თავ-  
გასულ ვაჟებმა უფრო მეტი რამ გაბეჭონ.

— ავჭალის ქუჩის მცხოვრებლებმა რამდენჯერმე გამოუტხა-  
დეს პოლიციას (ოკოლოდვის ზედამხედველს ახუნდოეს), რომ  
დუქნებში: ავჭალის ქუჩაზე, ნალიტას სახლებში (№ 1) და იმის  
პირდაპირ ნიკოლოზის ქუჩაზე, ციციანოვის სახლებში № 44,  
საეჭვო ყოფა-ქცევის ხალხი თავს იყრის და მოსვენება აღარ  
არის იმათვან. პოლიციამ ყურადლება არ მიაქცია ამ თხოვნას  
და ერთი პოლიციელიც არ დააყრნა, რომ იქნებ მოსპობილიყო ამ  
გვარი უწესობანი. ოთხს ამ თვეს, გათხებისას ჰაიენილამ (ბალკონი)  
შეეიღნენ ქურადლები იმ სახლში (№ 44), რომლის ქვეშაც არყის  
დუქანია და მდგმურები გაქურდეს; წაიღეს ოქროს საათი და  
ფული. ამას წინად კიდე ვიღაც რუსის ქალი მოდიოდა ქუჩაზე,  
შეითრიეს ამ დუქანში და ძალა მოიხმარეს. ამავ დუქანში კი-  
დევ სხეა ბევრი უწერება ხდება, რის გამოთქმა არ შეიძლება.  
ყველა ეს ამბები, არ ვიკით, რა მიზეზების გამო იფარცხება და  
ყურს არ უგდებენ ისინი, ვინც მოვალენი არიან. აგრეთვე მეტი  
არ იქნება ყურადლება მიაქციონ სხენებული № 44 (ნიკოლოზის  
ქუჩაზე) სახლის ეზოს, სადაც საეჭვო ბიჭბუჭები იფარავენ თავს.

### გ გ წ ე რ ე ნ:

— ქ. ფოთიდამ. 1883 წელს აქაურმა ვაჟებმა სოხოვეს  
უმაღლეს მთავრობას, რომ უქმე დლებში ყელა დუქნები და-

კუტილი ჰქონდათ დილის 9 საათიდამ საღამოს 5 საათამდე, რათა ნოქაზები კვირაში ერთხელ მაინც განთავისუფლებული იყენებ და წირეალოცა მოესმინათ. ეს თხოვნა ბნება გუბერნიის უფროსმა მიიღო და ჯეროვანი განკარგულებაც მოახდინა ამ თხოვნის ასასრულებლად: წინა პირელად საღამოს 5 საათამდე იკრებოდა დუქნები. ეხლა კი მარტო პირელ საათამდე ჰკრეალებ და ამოტელა წერილ ფერისა მოკლებულია წირეის ბოლომდე მოსმინას... ეხლა აქა ბძანდება ეპ სკოპოსი, წირეალოცა ხშირად არის, მაგრამ დუქნები პირელ საათზე იღება და ნოქრები ძეულებულნი არაან შეა წირელამ გაეზურნენ თავიანთ დუქნებისაკენ. კარგი იქნებოდა, რომ პოლიციის უფროსმა ყურადღება მიაკუთს ამ ამბავს და დაკარგული თოხი საათი ისევ დაუბრუნოს საცოდავ ნოქარებს.

— ქ. გორიდამ. იმ ორი წარმოდგენდმ, რომელიც ახალი თეატრის გახსნის გამო გაიართეა ქ. გორაში, შემოეგდა ოცდაოთხი თუმანი, საიდამაც ნაღდ ფულად და ჩა თორმეტი თუმანი, რომელიც — ეკე არ არის — ხრულიად ახლად გახსნილ თეატრის მოხმადება, რადგანაც მას ჯერ კადევ ბევრი რამ აკლია. ფურნევ თეატრის მოთავეთ, რომ ჯერ-ჯერობით თეატრის მოწყობასა და გალაზათიანებას მიაპრან მთელი თავიანთ მეტადინება და ყურადღება. რაც შეეხება იმ ჩინონერიკ-ლაქა-პროცეულოებს, რომელთაც ზურგი შეაქციეს ამ წმიდა საქმეს, კვონებთ, რომ იგინი არ არიან დიდის ყურადღებას ლირსნი! მათი შორს გადგომა იქნება საპარეპლოც იყვეს საზოგადო საქმისათვის!.. რასაკეირევლა, მათვან რაიმე ენების მოლოდინიც უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალისა: რა ენებას შეიძლებან იგინა, რომელნიც სულით და გონიერი იმდენათ დაბლა სდგანან, რომ წერიმალი, პირადი ანგარიშები — საქვეყნო, საზოგადო საქმისაგან ვერ გაუჩინევიათ!..

გულითაის პატივისცემის ღარისი არიან ყველა ის პირი, რომელთაც მოხსენებულს ორს წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა. მომეტებულად კი — ეს. აბაშიძე, კოტე ყოფიანი, ბ. კორინთელი, ს. ციციშვილისა, ლ. ჩერქეზიშვილისა, ევ. შ. ტ-ბერაშვილისა და სხვანი.

ბ. კვიცარიძის „სწორ-მეტუველება“

I.

თავის წიგნის შესახალში ბ. კვიცარიძე იძლევა სხვა-და-სხვა ლაგიკურს და ლანგეისტურს ცნობებს, რომლებზედაც ჩენ არ გაეწერდებით, თუმცა ბევრი რამ შეკვეძლო გვეთქვა. ჩენი ვალია მიეაქციოთ ყურადღება იმას, რაც კერძოდ ქარ-თულს გრამატიკას შეეხება.

ჩენი გრამატიკოსი სამართლიანად ამბობს, რომ „ქარ-თულს ენას აქვს ვვ ბევრა,“ რომლებიც შემდეგის ასოებით იხატება: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ჰ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, ჸ, ჟ, ჲ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ლ, ჵ, ჸ, ჩ, ც, ქ, ძ, ჸ, ჳ, ჶ. ასო-ებს: ც, ჸ, ვ, ჷ, ჲ და ფ მეტს ასოებად თვლის და უარს ჰყოფს მათ ხმარებას. თავის ანგარიშში ბ. კვიცარიძეს დავიწ-ყებია ერთი ძელის მწერლობაში ძალიან ხმარებული ასო (ც) და რატომლაც ბევრათა და ასოთა სიაში არ მოუქცევია. სა-მართლით ეს ასო მეტის ასოებისთვის უნდა მიეთვალა.

ძალიან საინტერესოა „მეტის ასოების“ ისტორია, მაგრამ საუბედუროდ სწორ-მეტუველება მაზედ ნამდვილ ს არას გვე-უბნენ ამის მეტს: „ეს მეტი ასოები თავდაპირელად არ ყოფი-ლან ქართულს ანარში და თანისთან შემოულიათ იმ მიზეზით, რას გამოც წარსულ საუკუნეში შემოილეს ასო ფ, ყოველ სა-კიროებას გარეშე .. უცხო სიტუების გამოსათქმელად (?) თა-შისთან შემოულიათ ქართველებს ეს მეტი ასოები, სხვა-და-სხვა ერთაგან, თუ ფინიკიელთა, თუ სხვათაგან“ (გვ. 30).

ჩენია გვეთვინია, რომ ის აზრი, ერთომ ყველა „მეტი ასოე-ბი“ შემოელოთ უცხო სიტუების საწერალ (და არა გამოსათქმე-ლალ!), შემცდარია და არაფერზეა დამყარებული. ც იხმარება მარტო ქართულს სიტუებში, მაგ.: ჩუმა, თქუმა, ქუმანა და სხვ. ა-ც მარტო ქართულს დაბოლოებაში იხმარება, მაგ.: დე-დახ, მამახ, დახ და სხ. კ, მართალია, უცხო სიტუებშიაც იწე-რება, მაგ.: კურა, სკრიდისი, სკრაქსარი და სხ., მაგრამ ქართუ-ლებში უფრო ხშირად, მაგ.: ნესკ, სიტუერი, გვან და სხვ.

კ აგრეთვე ქართულს სიტყვებში იწერება, მაგ.: კელი, კარი, კმალი და სხ. ჭ იხმარება ერთად ერთს შემთხვევაში, შორის დებულის ჰოის გამოსახატად: ჭ!

ჩერენის აზრით ც, კ და ჭ ბერძნულის მიბაძეოთ არიან შემოღებულნი და უღრიან ასოებს: ბ (ეტა), ყ (იფსილონ) და ბ (ომეგა). ამას ამტკიცებს თეთი მათი ერთნაირი მდებარეობა ორისავე ენის ანბანში. ც ზის ზ-ენსა და თ-ანს შორის. ბ ზის ზ (ზეტა) და თ (თეტა) შორის. კ ზის ტ-არსა და ფ არს შორის. აგრეთვე ყ ზის ტ (ტაუ) და ph (ფი) შორის. ჭ ანბანის ბოლოს ზის, როგორც ბერძნულში ბ.

ვერაცერი გადაწყვეტილი შეგვიძლიან რა ვთქვათ ჟ-სა და კ-არზე. აი რას მოვეითხობს ბ. კვიცარიძე ამ უკანასკნელს ასოზე: „ალბათ ოდესმე პირველყოფილს ქართულ ენაში იყო ისეთი რამ ბგერა, რომელსაც ვერც თუ ს გამოსთქმიდა და ვერც თუ ჭ... შემდეგში როცა ქართული ენა ასე გამომუშავებულა და დასუფთავებულა, ეს ყანყრატოს გადაღმიელი ბგერა ზევით ამოსულა და ჭ-ით და ხ-ათ ქცეულა. მაგრამ ეინმე ძევლთა მქექას ქართველს დანანებია მთლიათ არ აქარდესო ეს ასო და ისევ ჩაუბრუნებია ყანყრატოში, ე. ი. ანბანშიერ“ (გვ. 32). ეს მოთხოვთ ლიმილსა ჰერის მყითხველს იმის მაგიერ, რომ ნდობა გამოიწვიოს მისგან.

გრამატიკოსი მეტს ახორებად თელის მარტო ც, ჟ, ჭ, კ, ჭ და ჭ, თუმცა როგორც მის წიგნითგან ჩანს, ჟ-საც მათზე მეტად არა სწყალ-გას. მოელს წიგნში ეს ასო სულ ორჯერ თუ სამჯერ არის ხმარებული და, მგონია, ისიც კორექტორის თავნებობით. ავტორი, ეტყობა, უარსა ჰყოფს ამ ასოს, რაკი სწერს: ქონია, ყაეს, კარგაეს, ქეიან და სხ. იმის მაგიერ რომ დაწეროს: ჰქონია, ჰყაეს, ჰკარგაეს, ჰქეიან და სხ. რად? ამ ს საპუთს არ იძლევა.

ქართულის ენის ოც-და-უამეტის ბგერისგან ბ. კვიცარიძეს ამოუთვალწუებათ ორი: ვ და ყ. „ასო ვინი, ამბობს გრამატიკოსი, როგორც ძნელვაზოსათქმელი და პირის საზიდთა დამწუხებელი ერთობ ძულის აზანს ქართულს ენას და იმიტომ მეტად ხშირათ ცელის მას სხვა ბგერებზე“ (გვ. 37). რად ჰკონია

აეტორს ეს ასო ძნელად გამოსათქმელი და „საზიდოა“ დამწუ-  
ხებელი და ან საითვანა ჩანს, რომ ქართულს „აზანს“ ენას  
საძულს ისა?

„ასო ყ ქართულში იხვარების უფრო იმ სიტყვებში, რომ-  
ლებიც სხვა აზიურის ენებითვან (უაღგილოთ) შემოაულან, მაგ-  
ურაული, ყალბი, ყაირათი, ყისმათი, ყულფი, ყალანი და სხ.“  
(გვ. 28). ჩვენ ნება გვაქეს არ დავიჯეროთ ესა, ვიდრე აეტორი  
არ დათვლის ყველა სიტყვებს, რომელებშიც ყ ისმის და არ  
დაგვანახებს, რომ ყ უფრო აზიურის სიტყვებში (ისიც უადგი-  
ლოდ შემოლებულებში) იხმარება. სიტყვები: ყბა, სიკეარული,  
ტუშ, ჩველი, ყური, ყველა, ყრუ და სხ. ნუთუ უცხო აზიური  
და თან უადგილოდ შემოლებული სიტყვებია? ამნაირად ხომ  
ჟველა ახოზე შეკვეთლო გვეთქა, რომ „იხმარებიან უფრო იმ  
სიტყვებში, რომელნიც სხვა აზიურის ენებითვან (უაღგილოთ)  
შემოსულან“.

ბ. კუიცარიძე ანბობს «ქართული ანბანი სამგეარია» იმის  
მაგიერ, რომ ეთქვა: ქართული ბკერები სამგეარები არიან.  
1, ხმოეანები: ა, ე, ი, ო, უ; 2, სახეინჩნი: ჰ, ც, ხ, კ, ჭ;  
3, თანჩოვანები ყველა დანარჩენები. ჯერ ერთი, სიტყვა სასეინჩი  
სულ ახალია, მეორეც არ გვესმის რა ერთობაა ჰ-სა და ც-ს  
ან ჰ-ს ან კ-ს და ან ჭ-ს შორის, რომ მათ ერთგვარს ბგერებად  
თვლის. ც, ხ და ჭ ხოვანები არიან, ხ ს შეიძლება ნახევარ-  
ხმოეანი დაერქეას, ხოლო ჰ, რა თქმა უნდა, რომ თანხოვანია.

„სწორმეტყველებაში“ საქართველოს კარგად არიან განწილე-  
ბულები თანხმოეანი ბგერები: 1, ბაგისმიერები: ბ, ბ, ჸ, ფ, ვ;  
2, ხორხისმიერები: გ, კ, ქ, ხ, უ, კ, ჰ (ღ კი დავიწყებია!);  
3, ენისმიერები: ლ, ნ, რ; 4, კბილისმიერები: დ, ზ, თ, ხ, ტ,  
ც, ძ, წ; 5, სასისმიერები: ჟ, შ, ჩ, ჭ, ჭ.

ბგერათა გადაცვლის გამოკელევაშიაც ბ. კუიცარიძე იჩენს  
ჩვეულებრივს დაუფიქრებლობას. ჯერ ერთი—მაგალითებად ხში-  
რად უცხო სიტყვები მოჰყავს, რომელებსაც კაცი ძეგლად უნდა  
ენდოს. მეორეც—უყრის არ უგდებს თავის მაგალითებს და განძრან  
გამოჰყავს ერთი დასკენა, როდესაც სწორედ რომ მეორის, მის  
წინაამდევგის, გამოყენა შეიძლება. მაგ. იმას უნდა დაამტკა-

ცოს, რომ ბერა ვ, როგორც არა „საზნო“, სხვა ბერად  
 იცილებათ და მოჰყავს ამნაირი მაგალითები: ვასილ, ბასილ,  
 ლევან, ლეონ, ლაკანი, ლაკონ, უკარმალი, უურმალი. კერ-  
 ცარიძე რომ დაფიქტებულიყო, ამ მაგალითებითვან უნდა დაე-  
 სკენა, რომ ვ კი ა' გადაცელალა სხვა ბერებად, არამედ სხვა  
 ბერები გადაცელალან ვ-ინად. უშინ აშენდენ ბასილ, ახლა კი  
 ვასილ (ეს, ვთქვათ, რუსულის გაელენათ), ბერძულად ითქმის  
 ლეონ, დავკონ, ქართველი ხალხი კი ამბობს ლევან, დავკანია.  
 წინად იყო უურმალი (ქართლში მაინც ევრე ამბაბენ), შემდეგ  
 გამოუთქვამთ (იმერეთში) უვარმალი.

საზოგადოდ ფონეტიკაზე ლაპარაკის დროს ჩეენი გრამა-  
 ტიკოსი ბერს ნამდეილს შენიშვნასთან ურევს მოუფიქრებელს  
 და უსაფუძლო დასკენას. შესანიშნავია ერთი მისგან ნაპოვნი  
 ფილოლოგიური მარგალიტი. სიტყვა ღმერთი წამისკავას სამის  
 სიტყვითვან: ერთი, ღერო მეტი. რა საფუძლით? არ გვეუბნე-  
 ვა. მეორე მარგალიტიც არა ნაკლებ ძეირთვასია. სიტყვაში  
 თვრმეტი კერცარიძეს ჰკონია ასო თ ფონეტიკურად არის ჩარ-  
 თულიო კეთილხმიერებისთვის, როდესაც რომ აქ სწორედ ის  
 წინაამდევი პროცესია მამხდარი, რომელსაც ბ. გრამატიკოსი  
 ფონეტიკურს სპობას ეძახის. წინად იყო ათრგამეტი, ბერა ა  
 მოისპო და დარჩი თვრმეტი ანუ თვრამეტი, როგორც ათერთმე-  
 ტი, თერთმეტი, ათორმეტი, თორმეტი, ათსამმეტი, თსამმეტი ანუ  
 ცამეტი.

ბ. კეიცარიძეს საკმაოდ კარგად აქვს გარჩეული სიტყვის  
 აგებულება. ფესვი, თავსართი და ჩასართი, აი სიტყვის სამი  
 ზემთაღვენელი ნაწილი. მისთვის, რასაც გრამატიკოსი საკვეცს  
 ეძახის, უკეთესი იქნებოდა დაერქმია „სიტყვის ნიშნეულობა“,  
 როგორც უწოდებს ზონის მაჩერებლებს: ვ, ვე, ს, თ, ე და სხ.  
 ბრუნვისა და რიცხვის მაჩერებლები: ა, ე, ი, ის, ს, მან, ით,  
 დ, ებ, თა იმავე ხასიათისანი არიან, როგორც ზონისანი. ბ. კეი-  
 ცარიძის ერთი შეცდომა ის არის, რომ წა, და, შე და სხვა  
 თავსართები „სიტყვის ნიშნეულობანი“ ჰკონია.

დ. დეკანოზიძე.

## ସାହିତ୍ୟବେଳଟାର ଅ

ପୂର୍ଣ୍ଣକାଳ ପାଦରୀ ଗ୍ରନ୍ଥରେ,  
ପୂର୍ବାଧୀନବ୍ୟାପରେ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ,  
ଏବଂ ପାଦରୀ ପାଦରୀ ମୁଖଦାରୀ  
ଅନୁଭବବାଦୀବ୍ୟାପରେ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ.

ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ;  
ମୁଖଦାରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ;  
ମନ୍ଦିରରେ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ  
ଅନୁଭବବାଦୀବ୍ୟାପରେ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ.

ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ  
ମୁଖଦାରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ,  
ମନ୍ଦିରରେ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ  
ଅନୁଭବବାଦୀବ୍ୟାପରେ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ,

ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ,  
ମୁଖଦାରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ;  
ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ  
ଅନୁଭବବାଦୀବ୍ୟାପରେ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ.

ମୁଖ ପାଦ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ, ମନ୍ଦିର ପରିପୂର୍ଣ୍ଣ,  
ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ,  
ମନ୍ଦିର ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ,  
ଅନୁଭବବାଦୀବ୍ୟାପରେ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ.

ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ.

## ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ

ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ.

(ଫାଟାକାର୍ଯ୍ୟାଳୀ \*)

ମାତ୍ରାମାତ୍ରିକାଳୀନ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ  
ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପାଦରୀ.

\*) ପତ୍ର. „ପାଦରୀ“ № 22.

ნედი გრძნობა სიუკარულში იქციანობაა. შენი მეგობარი და მიჯნუ-  
რი გაუკედის (ცხარედ და სიუკარულისაგან გატაცებულის ხმით  
ამბობს): მე თვითონ ჩემის თვალით ვნახე, თუ როგორ ხარბად  
გადებენბს თვალ-უურსა და შენც როგორ დაექმა უკადგან. რათ წა-  
მოწითლდი, როცა მე მოგიახლოვდით? სინიდისმა შეგაწუსა განა!  
გამოტედი და აღიარე ის, რაც მე დიდი სახია ვიცი, გამოტედი,  
რომ...

### ს თ ნ ა. (ზიზღით) შენ ის გიუკარს.

მა შო. სოდო შენ შენს თაქს დმის მაკვდ არა სცნობ და უპა-  
სუხებ (დინჯის ხმითა და უკადრებით): მე შენ მაუკარდი და ჩემს  
გულის ბასუებს შენ გაგანდობდი სოდმე. შენ არ ერწმუნები ჩემს  
სიტუკებს, ჩემს სიუკარულს, უკადგან უგან დამდევ, უკადეს ჩემს  
ნაბიჯს თვალს ადგენებ და ბრძან იქცით გატაცებული, ღმერთმა იცის,  
რა არა გრონა და რა არ წარმოგიდგნა... ნე თუ ამის შემდეგ  
გრძელ გაჭილავ და იტევა, რომ...

### ს თ ნ ა. (იმავე კილოთით, სოდო ცოტა დაცინვით) მიუკარ- სარო!..

მა შო. მაგრამ აგრე ადგილი არა უოფილა იმის დაშვიდება.  
რაგო ჭიჭავს, თუ რა მშეიძადა და წენარად ედაპარაკები, იმას ასე  
ჰქონდა, რომ მტუკანია და ვეღარა მოუხერხება-რა, რომ თავი გაი-  
მართოსო, და ამბობს (მაცრად): უკადა ჭალები თავ-მოუკარენი  
ხართ! ათასჯერ და ათი ათასჯერ გითქვამს ჩემთვის, რომ მარტო  
შენ მიუკარსარ, მაგრამ მაინც კიდევ იმასა სცდილიბ, რომ სხვასაც  
მოაწონო თავი: გესაამოვნება, რომ შენ შემოგცემროდნენ, რომ შე-  
ნის მშენირების ცერით შტერდებოდნენ. შენ არაფრად აგდებ ჩემს  
ტანჯეასა და მწესარებას, შენთვის ერთად ერთი კპლუგობა გა-შენია  
ღმერთისა, სხვა არაფრერი ბევრჯელ მე თვითონა გვიცხავ ჩემს თაქს,  
უსამართლოდ ცილისა კრამბ-მეთქი, მაგრამ არა, ტეუფილი ნუგემია:  
დღითა-დღე უფრო და უფრო კრწმუნდები, რომ...

### ს თ ნ ა. (უკადრებით) მე შენ აღარ გიუკარვარ.

მა შო. მაგრამ მეტი მოუკიდა შენს მეგობარს, იმასთანა სი-  
ტუკები გითხრა, რომელიც შენთვის არ უნდა ეკადრებინა. შენ ღირ-  
სეულს ბასუებს აძლევ (კეთილშებილურადა და წენით): იქ, სადაც  
ორი ადამიანი ერთი-მეორეს არ ქნდობა, სიუკარული არ შეიძლება.

თუ რომ შენ მე არ მენდობი, მე, ორმედსაც შენს საცოცხლესა  
და ბეჭინიერებას მეძახდი, შენი ბრალია და არა ჩემი. არა, არა, შენ  
ჰქონდა საცეკვარებლი არ შევიძლაან! შენ მშოღოდ ..

ს ო ნ ა. (იმავე კილოთია.) შენა თავა გიყვარს.

მ ა შ ო. ძალას გარგადა სთქია, მხრივოდ შენ კალის ცოტა  
მეტი სიმგაცრე ეტეობოდა იმაზედ, რამდენიც საჭირო იყო. წარ-  
მოიდგინე, რომ უკუ პატარძალი ხარ. შენი საცეკვარებლი და სასუა-  
ლი საჭირო სამსახურის გამო სსეკან წავიდა. შენ მარტო დარჩი,  
მაგრამ შენი ფიტრი და გონება იმასთან მიჯერის. უკალაფირი, რასაც  
გი გარშემო ჭედავ, იმას გაუანგბს: ზეირთა სმიურებაც, უკავილთა  
სურნელოვანებაც. შენი ოცნება იმასაც ჭვრინას და შენ თავადვა  
ამბობ...

ს ო ნ ა. (მოღუშებად) მე იმას კუკევარვარ!

მ ა შ ო. არა, არა, კერძოდ არა! უაღისის კილოთია წარმოსთქია  
შენ ეგ სიტყვები. ასა გიღება კოდოთ. წარმოიდგინე, რომ შენთან  
გამოთხოვების დროს შენმა საჭირომ ერთი გარსებულავი დაგნენახეა და  
გითხრა (ნაზად ამბობს): როდესაც მე აქ არ ვამხებია და საღმი-  
საღამობით შესედავ ხოდმე იმ გარსებულავს, დარწმუნებული იყავი,  
რომ იმავე დროს მეც იმ ვარსებულავს გულურებო. წავიდა. შენ ამ ვარ-  
სებულავს უკერებ, გასსოფება იმას სიტყვები, გული ხეტარებით  
გამხება და ამბობ...

ს ო ნ ა. (მწარედ და დაცინების ხმით) მე იმას კუკევარვარ!

მ ა შ ო. არა, კერძოდ არა! შენ ისეთის ხმით ამბობ მაგ სიტყვებს,  
რომ სულ წინააღმდეგი აზრი გამოდის. წერილებს რომ სმირნად  
არა გწერდეს და გულ-ცივობა ეტეობოდეს, მაშინ შეიძლებოდა გეთქა.

ს ო ნ ა. (კერძო იმაგრებს თავისის მწეხარებას და სასო-წარეცვ-  
თილებით ამბობს) არა, მე იმას არ კუკევარვარ!

მ ა შ ო. ეგ რას ნიშნავს! არა, შენი სიტყვები განტება ნათესები  
სიტყვებს არა ჭიას, უფრო ნაძვიელს ემსეკესება გამაცებინე, რა ამბავი?

ს ო ნ ა. (მწეხარებით კულტედ მოქსევა) მართალია, მართალი,  
მე იმას არ კუკევარვარ! არ კუკევარვარ და აი სწორედ ეს მიკლავს  
ბულსა, ეს მიწამდება საცოცხლეს.

მ ა შ ო. საბრალო! მეც არა გსთქვი, რა არის-მეტე! მაგრამ  
დამშვიდები და მამხე შენი გულის სასუნი.

ს თ ხ ა. ღმერთო, ამას რასა გნედავ?

მ ა შ ო. სადა?

ს თ ხ ა. სტოლზედ წერილი დეკს... იმისი ხელია...

მ ა შ ო. რა სთვი? ვისი ხელია?

ს თ ხ ა. რად არის აქ იმის წერილი, გამაგებინე!

მ ა შ ო. (წერილს გარდასცემს) შენთან არის მოწერილი, კი ნაღამ დამაკიწევა.

ს თ ხ ა. (აღელდება.) კვდავ ხელში მიჭირავს იმისი წერილი, ვის წერილსაც არა ერთხელ აუღელებია ჩემი გული. ისე ავღელდი, რომ წერილი კერ გამისხნაა, მაგრამ უნდა გავსხნა-გა, უმეტესად გავსხნა, რომ მართალი შევიტეო, თორემ იქნი უოკელს ტანჯებზედ უფრო საშინელი ტანჯეა. როცა წერილების გზავნას დაუგერიანა და გულში იქნი დამესად, მე სელ-ახლად გადავიყითხე იმისი ძეველი წერილები და უოკელს იმის ჩემთან მოწერილს სიტექს სამკერ-ოთხერ კარგად დაკავებირდი და აკონ-დაკონე, რომ გამეგო დაკავიუბივარ, თუ გიღმი კუუპარკარ-მეთქი, და დაკოწმუნდი, რომ აღარ გუვარდი და დაკიტუბებოდი. კუდილობდი მომეტუებისა ჩემი გული, სმა-მაღლად ვიძახოდი: არა, კუუპარკარ, კუუპარკარ-მეთქი, მაგრამ იქმა გულში დაისადგურა და აღარ მასკენებდა. (მწუხარედ) აი, ეხ-ლა იმასაც კი დარწმუნებული კარ, რომ ამ წერილში ჩემს უბედუ-რებას ამოკიგითხავ. (სასორაოკეთილებით) არა, არა, არ კუუპარკარ, დარწმუნებული კარ, რომ არ კუუპარკარ. (გასხნის წერილს და სა-ჩქაროდ თვალს გადავდებს; გითხვის დროს სახე უბრწყინდება, გა-ხარებული გუდზედ მოეხვევა მაშას და წამოიძებას.) კუუპარკარ, კუუპარკარ!

მ ა შ ო. (მშეიდის ხმით) რაო? უკურნხარ?

ს თ ხ ა. ოჯ, რომ იღოდე, რა ამბავი უოფილა. მე ჩემს დღე-ში არ კაპატიებს ჩემს თაქს, რომ ისე იქნი შეკედი იმის სიუკა-რელის გამო. (გულ-წროველად) ამ წერილის უოკელ სიტექიდგნას სხანს, რომ კუუპარკარ. (ჩქარ-ჩქარა უამბობს წერილის შინაარსს) ის გემზედა მჭდარა, გემი გასტეხიათ და ზღვას სხვა ქეუნის ნაკთ-სადგურში შეუტანა. ამ ნაკთ-სადგურში დადხანს დარჩენილან და ამის გამო მურც თითოსა მწერდა თურმე წერილებსა და მურც ჩემი წერილები მისდიოდა... აი, ეხლა მწერს... (აღტაცებით) კუუპარკარ...

(წერილსა ჰქოცნის) ოჯ, ჩემთ მანუგუშებულო! აწი აშკარაა, რომ კუკარებარ! მაღლობა ღმერთს, გადაიარა მწუხარებამ, მჭევა გამარტნება, და მხოლოდ ერთი სასიამოგნო სიტყვა და დარჩა...

მა შო. (აღტაცებით) კუკარებარ!

სონა. (სისარელით ტირილს დაიწყებს) ჭო, ჭო, კუკარებარ!

მა შო. კარგად გასსოვდეს ეს სიტყვა: მაგაშია მთელი შენ ბედნიერება! თავი დაახტე აქტრისობის სურვილსა და ნამდვილი ბედნიერება არჩი მოჩენებულსა.

ა. ა.

### ჩედამისისაგან.

თ. რაფ. ერ—საგან შეკრუბადი გამოცანები, ჩვენი გაზეთის 21 №-ზი დაბეჭდილები:

1) „ერთი სტუმარი მესტუმრა“... ნიშნავს „ბადანეს“ (უმაწვალს)

2) „გადმორკდებოდი“... ნიშნავს—თოვლებს.

გამოიცნეს: სირკელი—მასწავლებელმა ნ. ბ—მა და მეორე კნიაენა ლ. ლ—სამ, ქუთაისში.

### ვ ლ ს ტ ა.

ი. მ—ნს „მახინირნა“ გამოგზავნეთ.

გრ. გვ—ანს. „იგავარავნი შეროზით“ გამოგზავნეთ.

ივ. ბად—ძეს. შეგაბრუბისეთ როდის გაიწერეთ გაზეთი, ან ფული გაის მიეცით.

არ დაიბეჭდება: „სიმღერა დარიბისა“, „ოდეს შენ სტირი“, „ბებას სიზმარი“, მცირე შენიშვნა“ ჩ—ელისა, „გიორგიდამ“ გრ. გვ—ნისა, „ორი სიგვდილი“.

გერ დაიბეჭდება: „ბადი“ (მოხუცის ნაამბობი).

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნიპირიძე.